

სამართლიანი არჩევნები საქართველოსთვის

პრიორიტეტული სფერო:

პარტნიორობა, რომელიც იცავს, მმართველობა და საჯარო ადმინისტრაცია

ხელშეკრულების ნომერი 411-990
(CRIS):

განხორციელების ვადა: 01.01.2020 - 31.12.2021



ევროკავშირის € 200 000

წვლილი:

მთლიანი € 797 251

ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

International Society for Fair Elections and Democracy Union

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

<https://www.facebook.com/isfed.official/>,

https://twitter.com/isfed_official

პროექტის isfed.ge

ვებსაიტები:

პროექტის აღწერა:

დემოკრატიული ღირებულებები ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების პროექტი 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თანახმად, თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებას შეუწყობს ხელს. მიზნის მისაღწევად, ორგანიზაცია განახორციელებს საარჩევნო პროცესების მონიტორინგს მთელი ქვეყნის მასშტაბით, აგრეთვე, ხელს შეუწყობს საარჩევნო რეფორმასა და ამომრჩეველთა განათლებას უმცირესობებით დასახლებულ და ცენტრიდან დაშორებულ რეგიონებში.

პროექტი რამდენიმე სახის კომპონენტს მოიცავს, მათ შორისაა:

- საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულების გაზრდა ფართომასშტაბიანი და მიუკერძოებელი სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით; ამ კომპონენტის ფარგლებში, მოხდება საარჩევნო დარღვევებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პრაქტიკების სიღრმისეული კვლევა;
- არჩევნების მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესება რეფორმების ადვოკატირებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციების განხორციელების მონიტორინგის მეშვეობით;

მოსალოდნელი შედეგები:

- ორი ფართომასშტაბიანი სადამკვირვებლო მისია, რომელიც მოიცავს 140-მდე გრძელვადიან დამკვირვებელს, 2000-მდე მოკლევადიან დამკვირვებელს და 70-მდე მობილურ ჯგუფს;
- წინასაარჩევნო შეფასების ორი დოკუმენტი, ცხრა წინასაარჩევნო ანგარიში, არჩევნების დღის 10-მდე განცხადება და ორი საბოლოო ანგარიში;
- ორივე არჩევნების დროს ხმების პარალელური დათვლის მეთოდოლოგიით დააკვირდება; 200-მდე საარჩევნო ინციდენტის აღნუსხვა საარჩევნო პორტალზე და აღმოჩენილი დარღვევების გასაჩივრება შესაბამისი წესით;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების განხორციელების რეკულარული დააკვირება, მოკვლევა და შეაფასება;
- ადვოკატირების ღონისძიებები მიმდინარე და გასული არჩევნებისას გამოკვეთილი პრიორიტეტული მიმართულებებით;
- ოთხი ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ განახორციელებული ამომრჩეველთა განათლების ღონისძიებები უმცირესობებით დასახლებულ და ცენტრიდან დაშორებულ რეგიონებში;
- მარნეულის დემოკრატიული ქალთა საზოგადოების მიერ ჩატარებული ტრენინგები და არაფორმალურ შეხვედრები ქვემო ქართლის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში (ძირითადად მარნეულის მუნიციპალიტეტში).